სტაჟირება

„ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით“

(1+4 პროგრამით) მოსარგებლე პირებისთვის

(საპილოტე პროგრამა)

თბილისი
2017 წელი

კონცეფცია მომზადდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. კონცეფციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პოზიციად.

შინაარსი

ტერმინთა განმარტება 4
შესავალი 5
ზოგადი პრინციპები 6
პროგრამის მიზანი 6
პროგრამის რეგულირების სფერო 7
სტაჟირების მონაწილეები 7
სტაჟირების გავლის პირობები 7
სტაჟიორების კვოტა და სტაჟირების ვადა 7
შერჩევის პროცედურები 8
საკონკურსო კომისია 8
სტაჟირების ხანგრძლივობა, სამუშაო გრაფიკი და სამუშაო დრო 9
სტაჟიორის უფლებამოსილებები და მოვალეობები 9
სტაჟირების ანაზღაურება 9
სტაჟირების შეჩერების/გადავადების ან შეწყვეტის პირობები 9
სტაჟირების დასასრული 10

ტერმინთა განმარტება

1+4 პროგრამა - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ - ე.წ. „1+4 პროგრამა“ ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. ახალგაზრდები ერთი წლის განმავლოვაში გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო კურსს და შემდგომ 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში აგრძელებენ სწავლას მათთვის სასურველ ფაკულტეტზე.

სტაჟირების პროგრამა - სტაჟირების პროგრამა განხორციელდება ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ცალკეულ სახელმწიფო უწყებებში. „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის წევრი უწყებები გამოხატავენ კეთილ ნებას, არსებული რეალობიდან გამომდინარე სტაჟირების საპილოტე პროგრამის განხორციელების გზით, ხელი შეუწყონ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ სამუშაო გამოცდილების, შესაბამისი უნარ-ჩვევების შეძენისა და დასაქმების პერსპექტივის წახალისებას.

ზოგადად, სტაჟირების პროგრამა რეგულირდება „საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის თაობაზე 2014 წლის 18 ივნისის საქართველოს მთავრობის №410 დადგენილებით“, თუმცა წინამდებარე პროგრამა წარმოადენს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივას, რომლის მიზაანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმების წახალისება, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს გაეროს ასოციაცია.

სტაჟირების პროგრამის კოორდინატორი – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

მიმღები ორგანიზაცია – ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ცალკეული უწყებები - „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის წევრი უწყებები.

სტაჟიორი – საქართველოს მოქალაქე, ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობდა „1+4 პროგრამაში“ და არის ბაკალავრიატის მესამე/მეოთხე კურსის სტუდენტი/კურსდამთავრებული ან მაგისტრატურის სტუდენტი/კურსდამთავრებული.

სტაჟიორის ხელმძღვანელი – სტაჟიორის მიერ სტაჟირების გავლაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს სტაჟირების პროცესი და რომელიც ამავდროულად არის მიმღები ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

შესავალი

სახელმწიფო ენის ცოდნა და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც განაპირობებს ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამგვარად, ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით გადადგმულია. 2010 წლიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ საშუალება მიიღონ უმაღლესი განათლება გამარტივებული წესით. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ - ე.წ. „1+4 პროგრამა“ ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. ახალგაზრდები ერთი წლის განმავლოვაში გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო კურსს და შემდგომ 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში აგრძელებენ სწავლას მათთვის სასურველ ფაკულტეტზე.

2010 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა ეთნიკურ უმცირესობათა სტუდენტების რაოდენობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ცალსახად ამ პროგრამის დამსახურებაა.

„1+4 პროგრამის“ ფარგლებში, უკვე რამდენიმე ნაკადმა დაასრულა უმაღლესი განათლების საფეხური. ქართული ენის ფლობის დონის გაუმჯობესებამ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობამ სათანადოდ ვერ უზრუნველყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმების მაჩვენებელის ზრდა, რაც თავის მხრივ, გარკვეულწილად ხელს უშლის და მათ ჩართულობას და ინტეგრაციას ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წინამდებარე პროგრამა წარმოადგენს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებულ საპილოტე პროგრამას, რომელსაც მხარს უჭერს საქართველოს გაეროს ასოციაცია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ფარგლებში.

პროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესება და საბოლოო ჯამში, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. ამავდროულად, აღნიშნული შესაძლებლობა, იქნება „1+4 პროგრამის“ ლოგიკური გაგრძელება, რომელიც ცხადყოფს, რომ ქართული ენის შესწავლა და საქართველოში უმაღლესი განათლების მიღება დასაქმების კარგი წინაპირობაა.

პროგრამის მიზანი მიიღწევა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ პროფესიული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობების შექმნით.

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ის წარმომადგენლები, რომელთაც ისარგებლეს/სარგებლობენ „1+4 პროგრამით“.

პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ კონკურსის საფუძველზე ჩაერთონ სტაჟირების პროცესში. სპეციალურად შექმნილი კომისია უზრუნველყოფს სტაჟიორების შერჩევას შეფასების დადგენილი კრიტერიუმების გამოყენებით. წარმატებული აპლიკანტები სამ თვიან სტაჟირებას გაივლიან სახელმწიფო უწყებებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.

პროგრამის ეფექტურობის შენარჩუნების მიზნით, გათვალისწინებულია, მისი შედეგების ყოველწლიური შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. შეფასებას უზრუნველყოფს პროგრამის კოორდინატორი საქართველოს გაეროს ასოციაციის მხარდაჭერით.

ზოგადი პრინციპები

სტაჟირება არის მოკლევადიანი თანამშრომლობის ფორმა, რომელიც ხელს უწყობს უმაღლეს სასწავლებელში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. რიგ შემთხვევაში იგი შეიძლება იყოს დასაქმების წინმსწრები პერიოდი. სტაჟირება, როგორც წესი ხორციელდება ანაზღაურების გარეშე და მოიცავს ორმხრივ სარგებელს.[1]

სტაჟიორი არის სამუშაო გამოცდილების მიღებაზე ორიენტირებული პირი, რომელიც საჭიროებს პროფესიულ პრაქტიკას და უშუალოდ საქმიანობის პროცესში სწავლობს საჯარო სამსახურში სამუშაოს შესრულების სპეციფიკას.

დამსაქმებელი სტაჟიორს განიხილავს, როგორც დამხმარე სამუშაო რესურსს, მარტივი ოპერაციებისა და ამოცანების შესასრულებლად. სტაჟირების დასასრულს დამსაქმებელი სტაჟიორს რიგ შემთხვევაში მოიაზრებს, როგორც სარეზერვო კანდიდატს მომავალი თანამშრომლობის მიზნით ან განიხილავს მის კანდიდატურას ვაკანტურ თანამდებობაზე. სტაჟირება მიმდინარეობს მხოლოდ რომელიმე განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულ(ებ)ში.

პროგრამის მიზანი

სტაჟირების პროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმების წახალისება, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

ამ მიზნის მიღწევა ხელს შეუწყობს სტაჟირების პროგრამაში მონაწილე პირების სამოქალაქო ინტეგრაციასა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მათი

[1] ***შენიშვნა:*** სტაჟირება არ არის შრომის კანონმდებლობით რეგულირებული შრომითი ურთიერთობა.

მიერ სამუშაო გამოცდილებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების შეძენის და დასაქმების პერსპექტივის წახალისების გზით. პროგრამის გრძელვადიანი ამოცანაა სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში.
საპილოტე პროგრამის ფარგლებში სტაჟირებას ყოველწლიურად გაივლის 25-30 პირი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის რეგულირების სფერო

წინამდებარე პროგრამა განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (შემდგომში - მიმღებ ორგანიზაციებში), „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელების“ მიზნით შექმნილი კომისიის წევრ უწყებებში ეთნიკური უმცირესობების იმ წარმომადგენლების მიერ სტაჟირების გავლის წესს და პირობებს, რომელთაც ისარგებლეს „1+4 პროგრამით“ პროგრამით.

სტაჟირების მონაწილეები

სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობენ:

- სტაჟირების პროგრამის კოორდინატორი;
- საქართველოს გაეროს ასოციაცია;
- მიმღები ორგანიზაცია;
- სტაჟიორი;
- სტაჟიორის ხელმძღვანელი.

- **სტაჟირების პროგრამის კოორდინატორი** ახორციელებს სტაჟირების საპილოტე პროგრამას, კერძოდ:

  ა) შეიმუშავებს სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს;

  ბ) კოორდინირებას უწევს სტაჟირების პროცესის საორგანიზაციო და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტას;

  გ) ხელს უწყობს სტაჟირების პროგრამით გათვალისწინებული პირობების თანმიმდევრულ განხორციელებას;

  დ) განიხილავს და აწესრიგებს სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
- **მიმღები ორგანიზაცია** პასუხისმგებელია სამუშაო გარემოს კეთილმოწყობაზე და უსაფრთხოებაზე.
- **სტაჟიორი** ხელმძღვანელის ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების საფუძველზე უშუალოდ საქმიანობის პროცესში სწავლობს სამუშაოს შესრულების სპეციფიკას.

სტაჟირების გავლის პირობები

სტაჟიორების კვოტა და სტაჟირების ვადა

სტაჟირების პროგრამის კოორდინატორი, საქართველოს გაეროს ასოციაციის მხარდაჭერით, აცხადებს მიღებას ყოველწლიურ სტაჟირებაზე. სტაჟირების პროგრამის გამოცხადებიდან ათი დღის ვადაში მსურველებს შეუძლიათ შეავსონ განაცხადი

(დანართი #1), რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - www.smr.gov.ge; საქართველოს გაეროს ასოციაციის ვებ-გვერდი - www.una.ge, დასაქმების ვებ-ვერდებზე: www.jobs.ge; www.hr.com.ge.

ელექტრონულ განაცხადთან ერთად მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

ა) სამოტივაციო წერილი;

ბ) ფოტოსურათი 3X4-ზე;

გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

დ) ცნობა ან სერთიფიკატი, რაც ადასტურებს „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ გავლას;

ე) ცნობა უნივერსიტეტში სწავლების შესახებ ან დიპლომის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) ერთი რეკომენდაცია;

ზ) სხვა დოკუმენტები, რაც ადასტურებს მის უპირატესობას სხვა კანდიდატებთან შედარებით.

შერჩევის ორივე ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში მიმღები ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტაჟიორს შესაძლოა მოეთხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენაც.

შერჩევის პროცედურები

სტაჟიორების შერჩევა ხორციელდება ორ ეტაპად:

1. განაცხადების გადარჩევა;
2. გასაუბრება.

სტაჟირებით დაინტერესებული კანდიდატებიდან, შერჩევის მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე მოწვეული იქნებიან ის კანდიდატები, რომელთა სამოტივაციო წერილებში ნათლად და არგუმენტირებულად იქნება დასაბუთებული სტაჟირების გავლის მოტივაცია.

სტაჟიორების შერჩევისას გათვალისწინებული იქნება ეთნიკური და გენდერული ბალანსი, ასევე მიმღებ ორგანიზაციაში გასანაწილებლად - სტაჟიორის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი.

საკონკურსო კომისია

სტაჟიორების შერჩევას ახორციელებს სტაჟირების საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია), რომელიც შედგება ექვსი წევრისგან:

1. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;
2. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მუდმივი წარმომადგენელი;
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მუდმივი წარმომადგენელი;
4. საქართველოს გაეროს ასოციაციის მუდმივი წარმომადგენელი;

5/6. მიმღები ორგანიზაციის ორი წარმომადგენელი (თითო წარმომადგენელი თითო მიმღები ორგანიზაციიდან).

კომისიის მუშაობისას მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენლები იცვლებიან როტაციის პრინციპით. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მინიმუმ ოთხი წევრი. კომისიას თავმჯდომარეობს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სტაჟირების პროგრამის კოორდინატორის წარმომადგენელი. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. კომისია ატარებს სტაჟირების კონკურსის განაცხადების პირველად შერჩევას და შემდგომ გასაუბრებას კანდიდატებთან.

სტაჟირების ხანგრძლივობა, სამუშაო გრაფიკი და სამუშაო დრო

სტაჟირების ხანგრძლივობა არის 3 თვე, ხოლო სტაჟიორის სამუშაოს ხანგრძლივობა - კვირაში 20 საათი. სტაჟიორის სამუშაო გრაფიკი თანხმდება სტაჟიორის ხელმძღვანელთან.

სტაჟიორს არ მოეთხოვება ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება. სტაჟიორის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ზეგანაკვეთური სამუშაოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 10 საათს.

სტაჟიორის უფლებამოსილებები და მოვალეობები

- შერჩეული კანდიდატები სტაჟირებაზე მიიღებიან მიმღები ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულში, სტაჟიორის ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.
- სტაჟიორი მოქმედებს სტაჟიორის ხელმძღვანელის სამუშაო ინსტრუქციისა და რეკომენდაციების საფუძველზე.
- სტაჟიორი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად.
- სტაჟიორი უფლებამოსილია სამუშაო პროცესის ხარვეზის და ნაკლოვანების აღმოჩენისას სტაჟიორის ხელმძღვანელს შეთავაზოს მათი გადაწყვეტის საშუალებები.
- სტაჟიორი ვალდებულია, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამუშაო პროცესში. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია როგორც სტაჟირების პერიოდში, ისე მისი დასრულების შემდეგაც.
- სტაჟიორს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მიმღები ორგანიზაციის ქონების დაზიანების შემთხვევაში.

სტაჟირების ანაზღაურება

სტაჟირება არის ანაზღაურების გარეშე. გამონაკლისია, თუ მიმღები ორგანიზაცია ითვალისწინებს სტაჟირების ანაზღაურებას.

საქართველოს გაეროს ასოციაცია (5000 აშშ დოლარის წლიური ბიუჯეტის ფარგლებში) სტაჟიორს აუნაზღაურებს სხვა რეგიონში საცხოვრებელ და ტრანსპორტირების ხარჯებს.

სტაჟირების შეჩერების/გადავადების ან შეწყვეტის პირობები

სტაჟირება შეჩერდება სტაჟირების პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობის გამო, რომელიც არ გულისხმობს სტაჟირების შეწყვეტას, ან მის დასრულებას. სტაჟიორთან შეთანხმებით ხორციელდება სტაჟირების გადავადება, რომელიც ჯამში მოიცავს ერთ თვემდე პერიოდს.

შეჩერების საფუძვლებია:

- პირადი განცხადება;
- სტუდენტის სტატუსის მქონე სტაჟიორის შემთხვევაში სემესტრული გამოცდებისათვის მომზადება, რომლის ხანგრძლივობაც არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს;
- სტაჟიორის დროებითი შრომისუუნარობა, რომელიც არ აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს (დადასტურებული ავადმყოფობის ან სხვა ცნობით).
- სტაჟიორის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა.

სტაჟირების შეწყვეტა გულისხმობს მიმღებ ორგანიზაციასა და სტაჟიორს შორის თანამშრომლობაზე შეთანხმების მოშლას.

სტაჟირების შეწყვეტის საფუძვლებია:

- სტაჟირების პერიოდის ვადის გასვლა;
- სტაჟიორის პირადი განცხადება ან შეთანხმება სტაჟირების შეწყვეტაზე;
- სტაჟიორის დროებითი შრომისუუნარობა, რომელიც აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს;
- სტაჟირების პროგრამით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- სტაჟიორის დასაქმება;
- სტაჟიორის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა;

სტაჟირების დასასრული

სტაჟირების პროგრამის ბოლოს:

ა) მიმღები ორგანიზაციის მიერ გაიცემა ცნობა სტაჟირების გავლის შესახებ;

ბ) გაიცემა სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის სერტიფიკატი;

გ) მიმღებ ორგანიზაციაში ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში წარმატებული სტაჟიორი შესაძლოა განიხილებოდეს დასაქმების კანდიდატად.

პროგრამის ეფექტურობის შენარჩუნების მიზნით, გათვალისწინებულია შედეგების ყოველწლიური შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. პროგრამის შეფასებას უზრუნველყოფს პროგრამის კოორდინატორი საქართველოს გაეროს ასოციაციის მხარდაჭერით.